ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა

კომისიის სხდომის ოქმი №22

21 თებერვალი 2023 წელი

11:30 საათი

ა/წ 21 თებერვალს ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. ზურაბ ჩიკვილაძე;
2. ანა კაკაბაძე;
3. ლევან აბაშიძე;
4. ნათია მოდებაძე;
5. ლილე ლიპარტელიანი;
6. ვახტანგ სურგულაძე;
7. მამუკა გუგეშაშვილი;
8. სოფიო ჯაფარიძე;

მოწვეული პირები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი;

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომას თავმჯდომარეობდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე. სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა, დამსწრე წევრებს წარუდგინა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის დღის წესრიგი და სიტყვა გადასცა საკითხის წარმომდგენს, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსს გელა ჩივიაშვილს;

დადგენილების პროექტის თანახმად, ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში, კერძოდ აღნიშნული დადგენილების პირველი მუხლის „გ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტში.

მოქმედი რედაქციის მიხედვით ქვეპროგრამის ფარგლებში, თვეში ფინანსდება არაუმეტეს 1550 ბენეფიციარი, ხოლო წარმოდგენილი პროექტის ლიმიტი იზრდება 300 ერთეულით, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არაუმეტეს 1850 ბენეფიციარი.

კომისიის წევრი ანა კაკაბაძე დაინტერესდა, რის საფუძველზე გახდა შესაძლებელი ქვეპროგრამის ბენეფიციართა ლიმიტის ზრდა.

გელა ჩივიაშვილის ინფორმაციით, ქვეპროგრამის სერვისების მიმწოდებლებმა („ნეიროგანვითარების ცენტრი" და „ფაზლი") დაამატეს ფილიალები და მომსახურე პერსონალი, შესაბისად გაჩნდა დამატებითი რესურსი მისაღები ბენეფიციარების რაოდენის ზრდისთვის. ამასთან, ქვეპროგრამას დაემატა კიდევ ერთი მიმწოდებელი, ორგანიზაცია „რეჰაბი". ზემოთხსებულიდან გამომდინარე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის" პროგრამული ბიუჯეტის და ლიმიტის ზრდას.

წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ ზურაბ ჩიკვილაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ „აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამის„ მიმწოდებელია 9 დაწესებულება, ხოლო ქვეპროგრამის ბიუჯეტი გაიზარდა 1 600 000 ლარამდე. თითო ბენეფიციარის აბილიტაციის ხარჯები საშუალოდ შეადგენს 3500 ლარს. ზემოთაღნიშნული პროგრამული ცვლილებით დაკმაყოფილდებიან მომლოდინე პირები, რაც მისასალმებელი ფაქტია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი დააყენა კენჭისყრაზე. აღნიშნულ საკითხს დამსწრე კომისიის წევრების სრულმა შემადგენლობამ დაუჭირა მხარი.

მომხრე: 8

წინააღმდეგი: 0

თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

წარმოდგენილი პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

კომისიის სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ჩიკვილაძე